



რვაენი

ფრთვა

832

1958

‘NOTRE DRAPEAU’

საარსებულია ნოე შოკლანის მიერ.

N° 28

Directeur: MICHEL STOUROUA.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

- ბ. ჯანდელაძე და ა. ნუნუაძე—ქართველ ერს.
- საქართველოს პრეზიდენტი—ნოე ჟორდანიას.
- №.—დამოუკიდებლობის გამოცხადება.
- საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარე—რამიშვილი.
- საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობა.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე—კარლო ჩხეიძე.
- ბ. ყრამი—26 მაისი.
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი—ე. გეგეჭკორი.
- ბ. ხარჯველაძე—თავდადებულნი (26 მაისის გამო).
- აშხ. ალ. კორძაიას დაბადების 70 წლის თავი.

პარიზი

მ ა ი ბ ი

Paris.

1958

ქ ა რ თ ვ ე ლ ე რ ს ^{*)}.

40 წელიწადი გავიდა მას შემდეგ... ქართველ ერმა თავისი ბედით თავისი საკუთარ ხელში აიღო; იგი არ შეუშინდა მის წინაშე არსებულ დაბრკოლებებს და მძიმე განსაცდელის წინაშე მდგომნი, მისი წარმომადგენლები, არ გაექცენ უდიდეს პასუხისმგებლობას.

ქართველი ერი მხნეთ და ურყევით შეუდგა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას; საკუთარ სუვერენულ უფლებების განხორციელებაში ხედავდა იგი საიმედო გზას მის კულტურულ და ნივთიერათმშვიდობიან განვითარებისთვის.

ქართველი ერი არ შეცდა.

ამიერიდან, რუსეთში გაბატონებულ ანარქიის ტალღები ასკდებოდა ქართველი ერის მიერ მათ წინააღმდეგ აღმართულ კლდეს თავისუფლებისას.

ქვეყანაში წესიერება დამყარდა. მან თავიდან მოიცილა გაბოლშევიკებული და გაბოროტებული რუსის ჯარი, საქართველოში და მთელ კავკასიაში რომ იდგა, და სამხრეთიდან შემოსეულმა მტერმაც დატოვა მის მიერ, — თანახმად საბჭოეთთან ხელისუფლების მიერ დადებულ ხელშეკრულებისა (ბრესტ-ლიტოვსკში). — დაკავებულ საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილები. და მან ისე, როგორც სხვა მრავალ სახელმწიფომ და თვით საბჭოთა რუსეთმა, იცვენეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

დამოუკიდებელი ქართველი ერი მალე საერთაშორისო ოჯახში შევიდა, როგორც იმის სრულ უფლებიანი წევრი, და შინ დამშვიდებულს აღმშენებლობით მუშაობას შეუდგა.

უმთავრეს ცვლილებებმა, რომლისთვისაც საუკუნის განმავლობაში ქართველი ხალხი და იმის საუკეთესო წარმომადგენლები იბრძოდნენ, ახლა დაიწყო განხორციელება. საქართველოს დამოკიდებლათ არსებობის სამი წლის ხანაში:

*) ხემათ მოყვანილ ქართველი ერისადმი მიმართვაზე ხელის მომწერნი ს. კანდიდაკი და ა. ხუციშვილი წევრები იყვენ საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობის და იმ მთავრობისაც, წარგზავნილი რომ იყო უცხოეთში (აკ. ჩხენკელი, როგორც ელჩი), დამფუძნებელ კრების, 17 მარტის 1921 წლის დადგენილების თანახმად, საქართველოს საკითხის დასაცავათ.

რ ე დ ა ქ ც ი ა .

მოხდა ყველა დაწესებულებათა გაეროვნება, ესე იგი, მოსახლეობის მიერ თავის საქმეების თავის საკუთარ ხელში აღება და იმის წაყვანა და დაცვა მისთვის სასურველ წესით და მისთვის გასაგებ ენაზე;

სახელმწიფოს მმართველობა ცენტრში და განაპირა კუთხეებში ხდებოდა თავისუფლათ არჩეულ ხალხის წარმომადგენელთა და მათ მიერ დანიშნულ პირების საშვალდებით;

ეკლესია უცხო ბიუროკრატიულ საღვთისმეტყველებიდან განთავისუფლდა, მორწმუნენი თავისუფლათ და დამოუკიდებლათ განაგრძობდენ თავის საქმეებს;

ეწყობოდა თავდაცვის საქმე. საკუთარი ეროვნული ჯარი შეიქმნა;

მოხდა განსახოგადოება წარმოებათა, შესაძლებლობის ფარგლებში;

მიწების ერთი ნაწილი მიწის-მუშებს, გლეხებს, გადაეცა; ამით გაფართოვდა სოფლათ კერძო წვრილი მესაქუთრება, გლეხი მისთვის აუცილებელს საწარმოვო იარაღს, მიწას, დაეპატრონა, არა ანარქიულათ, არამედ უმრავლესობის მიერ მიღებულ კანონის თანახმად;

შემოდებული იყო საყოველთაო სწავლა-განათლება, და არსდა უმაღლესი სასწავლებლები, და სხვ. და სხვ.

თუ არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა ზოგიერთ შინაურ საკითხების გამო, თავისუფლება სიტყვის, ბეჭდვის და კავშირების, კონსტიტუციის გარანტიებით, თავდები იყო იმის, რომ ასეთი საკითხები ყოველთვის ხალხის უმრავლესობის სურვილის თანახმად გადაწყდებოდა. ამიტომ საქართველოში სამოქალაქო ომს, რუსეთის იმპერიის დიდმა ნაწილმა რომ განიცადა, ადგილი არ ჰქონებია.

ქართველმა ხალხმა თავშესაფარი მშვიდობიან შრომის ნავთსაყუდელში ნახა. თვითონ არავის ემუქრებოდა და ამ მხრივ თავი სხვებისგანაც უზრუნველყოფილათ მიაჩნდა.

და აი სწორეთ ამ დროს შემოესია მას რუსეთის ურიცხვი ჯარები და იმათ ბრძოლის ველზე დასძლიეს საქართველოს, ამ პატარა ქვეყნის, გმირულათ მებრძოლეს ნორჩ მხედრობას.

თქვენ ყველანი მოწამენი ხართ იმის, რაც ამის შემდეგ მოხდა:

გაუქმებული იქმნა ყველა ის ღონისძიებანი, რომელიც საშვალეობას აძლევდა ერს თავის საკუთარ გზით თავისუფლათ განვითარებულყოფილად;

მოსპეს ყოველგვარი თავისუფლება: დადუმდა ენა თავისუფლათ მეტყველო და ბორკილებში ჩასჭედეს მწერლობა;

გაუქმდა ხალხის წარმომადგენლობის წესით პოლიტიკურ საქმეების წარმოება;

მუშა ქარხანას მიიბეს და გლეხს ჩამოართვეს მიწის ის მცირე საკუთრებაც, მას რომ ებოდა...

დღეს კვლავ მოსკოვი განაგებს საქართველოს მოსახლეობის ყოველგვარ შინაურ და საგარეო საქმეებს, ხოლო ხმა ერის თავის საკუთარ, ადგილობრივი საკითხების შესახებაც ანგარიშში არ არის მიღებული...

თავისუფლების მოყვარე ქართველი ხალხი ვერ ითმენს ამ ძალმომრეობას; იგი ქუჩაში გამოდის ახლანდელ მართველობის წინააღმდეგ. რეპრესიები, ტერორი, მძინვარებს განუწყვეტლივ რამდენიმე ათეულ წლების განმავლობაში მთელ საქართველოში; შორეულ ქვეყნებში უპატრონოთ იხოცება იქ ძალით გადასახლებული ქართველი მოსახლეობა, თვითონ საქართველოსკი ავსებენ უცხო ეროვნებათა წარმომადგენლებით და ამათგან იმით, ვინც კეთილ საიმედოა დამპყრობელთათვის. დემოკრატია, ერის საფუძველი, გაუქმებულია, თვით ერი განადგურების გზაზედ არის დაყენებული.

ასეთ და ამნაირ საშვალეებით საბჭოთა კავშირი დაეპატრონა საქართველოს ნივთიერ და კულტურულ ყოფაცხოვრებას; ამისთვისაა საქართველოს საუკეთესო შეილებმარომ შესწირეს თავი მათ წინააღმდეგ ბრძოლას. მდგომარეობა რთულია.

მრავალგვარ ჭირში გამობრძმედილი ქართველი ხალხი თვითონ გამოწაფავს საშვალეებს.—შორიდან მისთვის უკუნისწავლება კადნიერება იქნება,—რომ ზოგჯერ განზრახ მოწყობილ პროვოკაციას არ წამოეგოს. მაგრამ სული ძლიერი, შეუწყვეელი მისწრაფება თავისუფლათ არსებობისთვის და ბრძოლის უნარი შეინარჩუნოს სრულ გამარჯვებამდის. თვით ხალხის მისწრაფებანი, მისი სულისკვეთება აძლევს მიმართულებას პოლიტიკურ ემიგრაციას, და არა წინააღმდეგ.

მსხვერპლი დიდია, მაგრამ პერსპექტივები საიმედო. საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ბევრი მძიმე განსაცდელი გადაუტანია, გადაიტანს იგი დღევანდელ უბედურებასაც.

მარტო ისტორია არ არის ამის თავდები. თავის მოქმედებით საბჭოთა კავშირი მთელს კაცობრიობას დაუპირდაპირდა. იგი ამაყობს თავის სამხედრო ხელობითის მიღწევებით, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ მხედრობის მოწყობილობა იყოს ერის კეთილდღეობის გამომხატველი. არსად და არსოდეს უხეშ ძალას იღეა ვერ ჩაუხრჩვია; საბოლოო გამარჯვება მისია, ვისაც ხალხი ყავს მადლიერი და სამართლიანი საქმე უჭირავს ხელში. ბევრია იმის მაგალითი, რომ იარაღი მის ხელში ამლების წინააღმდეგ მოტრიალებულა.

ჩვენ უმთავრესად ჩვენი უფლება დამოუკიდებლათ არსებობისთვის უნდა მოვიმარჯვოთ. რა გზითაც უნდა გადაწყდეს საერთაშორისო დავის საკითხები, ქართველი ერი თავის უფლებებით ხელში წარსდგება საერთაშორისო სამსჯავროს წინაშე.

იგი მოითხოვს თავისას. იგი აცხადებს, რომ მშვიდობა

ქვეყნათ არ დამყარდება. თუ დაჩაგრულ ერების საკითხი არ იქნება სამართლიანათ გადაწყვეტილი, საქართველო მეტს არაფერს მოითხოვს გარდა მისთვის უკვე მიჩიქებულ და მის მიერ დამსახურებულ უფლებების აღდგენისა, თვითონ ცხოვრებაში რომ ახორციელებდა, სანამ საბჭოთა კავშირის უხეშ ძალამ არ ახადა მას ეს უფლებები.

ვინც საერთაშორისო მშვიდობიანობაზე ზრუნავს, ეროვნებათა საკითხს იგი გზას ვერ აუხვევს; კერძოთ, საქართველოს და მთელი კავკასიის საკითხი დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობის მეტად მტკივნეული ადგილია. სანამ უფლება უხეშ ძალაზე არ გაიმარჯვებს, იქ ისე, როგორც ყოველგან, ქვეყნათ მშვიდობა არ დამყარდება; დამშვიდებულ ცხოვრებას კი შენატრის მთელი კაცობრიობა.

ამიტომ იმედით აღსავსე გულით უნდა მოელოდეს ქართველი ერი თავის საუკეთესო მომავალს და მისი მისწრაფებანი, მისი პოლიტიკური ლტოლვა ამ იმედს უნდა ემყარებოდეს. სანამ ქართველი კაცის გულში ცოცხალია თავის ქვეყნის წარსულის მოგონებანი, ქართველი ერი 1918 წლის 26 მაისს მის მიერ აღებულ გზას არ უკუაგდებს. გზას აღებულს შორეულ და ახლობელ წინაპართა მიერ, გზას თავისუფლებისას, გზას ეროვნულ თავისუფლებისას. ვერავითარი დაბრკოლება ამ გზაზე მას საბოლოოთ ვერ შეაჩერებს.

26 მაისი გახსენებაა, ნიშანია ქართველი ერის მკვდრეთით აღდგომის, ვარსკვლავია გზის მაჩვენებელი.

ვინც მას შეფიცა ერთხელ, არასოდეს მას არ უღალატებს. ჩვენ ეს გვწამს და ეს ჩვენი რწმენა გვინდა, 26 მაისის ამ 40 წლის თავზე, ერთხელ კიდევ შევეუერთოთ ხსოვნას და რწმენას მთელი ქართველი ერისას და მის ერთგულ შვილებისას, სამშობლოში დევნილთ და სამშობლოს გარედ მთელ დედაიწაზე გაფანტულთ.

ქვეყანა ისევ განსაცდელშია. ხსნა იმის, როგორც ამ 40 წლის წინად, ეროვნულ თავისუფლებაშია, თავის საკუთარ საქმეების დაპატრონებაში.

ამისთვის ჩვენ მოვუწოდებთ ქართველ ერს და მის ახალ თაობას:

იმედით შეეყრებდენ ჩვენი ქვეყნის მომავალს, დაეყრდნონ მათთვის ჩვეულ მხნეობას და გამჭრიახობას;


შეინარჩუნონ თავისი კეთილშობილ მისწრაფებათათვის ბრძოლის უნარი. დრო ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებისთვის მუშაობს.

დღეს საქართველოში ძირს დაშვებული 26 მაისის დროშა კვლავ თავისუფლათ იქ აფრიალდება!

ა. კანდიდავი.

ა. ხენჯელი.

მაისი, 1958 წ.



«26 მაისი არის ჩაქედილი თვითეული ქართველის სულსა და გულში, მთელ ქართველ ერში და უცდის შესაფერ დროს მის აღსადგენათ».

«26 მაისი არის გამოხატულება ერის ერთობის, მტერის წინააღმდეგ აღმართული ერთად-ერთი სიმაგრის. დიდი ნაციონალური საქმე არ გაკეთდება შინაგანი ბრძოლის გაჩაღებით»

«მოსკოვმა მოსპო ჩვენი თავისუფლება, ვერ მოგვტაცა მხოლოდ სული, ვერ გასტენა ერის მორალი, მისი მთლიანობა, მისი გადაწყვეტილება—იყვეს თავისუფალი. აი ეს მორალური ძალა, სულიერი სიმტკიცე და ურყევი იდეალი არის აუღებელი სიმაგრე, რასაც შეესჯდება მტერთა იერიშები».

«26 მაისი კვლავ აშკარათ გამოანათებს და ერის მსვლელობას უმეთაურებს».

ნ. ქვრიანია.

(«ჩენი დროშა» № № 2, 9).

დამოუკიდებლობის გამოცხადება.

... 22 მაისს ნ. ჟორდანიას ბათუმიდან თბილისში დაბრუნდა. ბათუმში ის გაწვეული იყო სეიმის დელეგაციის მიერ საზაო მოლაპარაკების გართულების გამო. ბათუმიდან დაბრუნდა იმ რწმენით, რომ შექმნილი მდგომარეობა დამოუკიდებლობის გამოცხადების გადადებას აღარ ითმენდა. საკითხის გადასაჭრელათ მოწვეულ იქნა სოც.-დემ. პარტიის ცენტ. კომიტეტის სასწრაფო სხდომა, რომელსაც მან გაუყეთა ვრცელი მოხსენება მდგომარეობის შესახებ, საიდანაც ცრთად-ერთ გამოსავალს ხედავდა დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებაში. კრებამ ერთხმად გაიზიარა ეს აზრი და მიიღო სათანადო დადგენილება, რომელიც მეორე დღესვე დაეგზავნა ყველა ს.-დ. ორგანიზაციებს, რაც მიღებულ იქნა ურეზერვოთ. ამვე დროს მოწვეული იყო «ერ. საბჭოს» აღმას. კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე იგივე ნ. ჟორდანიას იყო. მისი მოხსენება აქაც ერთხმად მიიღეს და დამოუკიდებლობის აქტის შესამუშავებლად არჩეულ იქნა საგანგებო კომისია.

26 მაისს დილით სასახლეში გაიხსნა ამიერ-კავკასიის სეიმის სხდომა. სეიმის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ—პირველი სიტყვა სეიმის სოც.-დემ. ფრაქციის სახელით წარმოსთქვა ირ. წერეთელმა, რომელმაც თავის ვრცელი სიტყვა დაათავა ასე: «შექმნილი მდგომარეობა გვევალეებს ქართველ ხალხს უთხრათ, რომ ის მართო დარჩა და თუ უნდა გადაირჩინოს თავი—დაუყოვნებლივ უნდა გამოაცხადოს თავის დამოუკიდებლობა და შექმნას თავის სახელმწიფოებრივი ორგანო»... წერეთელის წინადადების შესახებ ილაპარაკა ყველა ერის და ყველა პარტიის წარმომადგენელმა, რაც დასრულდა სეიმის დაშლით 3 საათზე.

იმვე დღეს, იმავე სასახლის ზალაში, დღის 4 საათზე და 50 წუთზე, გაიხსნა «საქართველოს ეროვნული საბჭოს» სხდომა.

კრებას ხსნის აღმას. კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას, რომელსაც მთელი სხდომა ფეხზე ადგომით ესალმება და ხანგრძლივ ოვაციებს უმართავს. თავმჯდომარის ისტორიული სიტყვის შემდეგ წაკითხულ იქნა «დამოუკიდებლობის აქტი», რომელიც მიღებული იყო ფეხზე ადგომით. «აქტი» მიღებულ იქნა უცვლელად, რაზედაც ხელს აწერენ საბ. წევრები.

ამვე სხდომაზე წაკითხული იყო სია მთავრობის წევრების შემუშავებული საბჭოს აღმას. კომიტეტის მიერ შეთანხმებით ყველა პარტიებთან.

5 საათზე და 55 წ. «ეროვნული საბჭოს» სხდომა დაიხურა. სხდომის დახურვისთანავე «დამოუკიდებლობის აქტი» წაკითხული იქნა სასახლის აივანიდან უამრავი ხალხის წინაშე.

ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ქონდა.

დაიწყო ზეიმი, რაც გაგრძელდა მთელ ღამეს...



«26 მაისი არის დღე ახალ-ახალი ბრძოლისა, სიმბოლო დესპოტიის დათრგუნვისა, უცხო მონობის ბორკილების დამსხვრევებისა და დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის დროშის საბოლოო გამარჯვებისა».

ნ. რაძისვილი.

(«ბრძოლა» № 33—33).

35278

დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობა იყო მოწყობილი პარლამენტში წარმოდგენილ პარტიათა კოალიციის ნიადაგზე.

პირველი მთავრობა.

დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობა იყო მოწყობილი პარლამენტში წარმოდგენილ პარტიათა კოალიციის ნიადაგზე.

მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი—ნ. რამიშვილი, საგარეო საქმეთა—ა. ჩხენკელი, სამხედრო—გ. გიორგაძე, მიწათმოქმედების და შრომის—ნ. ხომერიკი, მინისტრის ამხანაგები: შინაგან საქმეთა—კ. გვარჯილაძე, საგარეო საქმეთა—ნიკ. ქარცივაძე, მიწათმოქმედების და შრომის—პ. გელეიშვილი და ი. ფირცხალაიშვილი, ფინანსთა—კ. კანდელაკი (სოციალდემოკრატები).

იუსტიციის—შ. მესხიშვილი, განათლების—გ. ლასხიშვილი: მინისტრის ამხანაგები: იუსტიციის—გ. გველესიანი და განათლების ალ. მდივანი (სოც.-დემოკრატები).

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის—გ. ქურული (ნაციონალ-დემოკრატი).

გზათა მინისტრი—ივ. ლორთქიფანიძე, მინისტრის ამხანაგი—საბაშვილი (სოც.-რევოლუციონერები).

სამხედრო მინისტრის ამხანაგი—გენ. გ. კვინიტაძე (შემდეგ მთავარ-სარდალი) და ვაჭრობა-მრეწველობის—გ. ნიკოლაძე (უპარტიონი).

ამაირად, მთავრობის წევრთა რიცხვი სულ უდრიდა 18; აქედან სოც.-დემოკრატები იყვნენ—9, სოც.-დემოკრატები—4, ნაც.-დემოკრატები—1, სოც.-რევოლუციონერები—2, უპარტიო—2.

ცოტა ხნის შემდეგ (24 ივნისს) ნ. რამიშვილი შესცვალა მთავრობის თავმჯდომარის ადგილზე ნოე ჟორდანიამ. ამას მოყვა მთავრობაში ზოგიერთი ცვლილებები. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ჩაბარდა ევ. გეგუქორს, ხოლო აკ. ჩხენკელი დაინიშნა უცხოეთში ჩვენს წარმომადგენლათ (ჯერ გერმანიაში, შემდეგ შვეიცარიაში).

დამუშავებულ კრების მოწვევის შემდეგ (მარტი 1919 წ.) შეიქმნა ერთფეროვანი მთავრობა. კოალიციის მაგიერ და პირველ მთავრობაში მყოფ სოც.-დემ. მთავრობის წევრებს დაემატა ახალი წევრები სოციალდემოკრატები.



«მტერს ეგონა, რომ ქართველს გასტეხდა, ძალას დაუ-
 მორჩილებდა, ეროვნულ თავმოყვარეობაზე ხელს აალებინებ-
 და, დაამონებდა, მოატყუილებდა, მაგრამ ამაოდ.—ვერც დე-
 მაგოგიამ და თვალმაქცობამ, ვერც მუქარამ, ვერც «ჩეკა»-ს
 სარდაფებმა, ვერც წამებამ ვერ გასჭრა, პირიქით ხალხის მი-
 სწრაფება თავისუფლებისადმი, იმედი განთავისუფლების
 აუცილებლობის—გაძლიერდა და რაც უმთავრესია მტერი
 ამას გრძნობს,—აი რას დღესასწაულობს ქართველი ხალხი
 ამა წლის 26 მაისს».

ვ. ხუციყვი.

(«ბრძოლა» № 12, 1926).

ჩვენი მნათობი ვარსკვლავი, მედროშე ჩვენი ერის და დღე ბრწყინვალე დაუვიწყარი...

26 მაისი, რომლის გახსენება და მასზე ფიქრი სულს ატკბობს, გულს ახარებს. სიამოვნების გრძნობათა ღელვა იდუმალოთ გონებას ოცნების მორევში რომ აღორბიქებს.

რა არის ამ 26 მაისში ასე ღრმით და მძლავრათ ჩაქსოვილ-ჩადუღებული, რომ არც დრო და ხანს, არცა ბუნებას და არც ადამიანს რომ არ ძალუძს წაართვას მას ის დაუშრეტელი ცხოველმყოფელი ძალა, რომელიც ანდამატივით იზიდავს ყველა ქართველ პატრიოტს—დიდს და პატარას, მოხუცს და ყრმას, ქალს და კაცს, თავისუფლების წყურვილით აღვისილნი მას რომ შესტრფიან, მისკენ ილტვიან. მასში ეძებენ ტანჯულს სულის და ხორცის მოსვენებას.

ყველა ერთი თავის თავს უნდა დაეუფინდებოდეს: ყველა ერთი «ნისა ცუთისა და ნისა კუთისა» უნდა თანაბრდებოდეს.

აი ორი უდიდესი და უწმინდესი ქართული ხალხური ბრძნული პოლიტიკური მცნებანი, რომელნიც 26 მაისმა ერთმანეთს გადააბა. შეადულა და განუყრელათ შესისწლხორცებულ ქართველი ხალხის ცხოვრების ასაწყობათ და მის ისტორიულ გზის გასაგრძელებლათ საქვეყნოთ ამართულ დროშას ზედ დააწერა. ეს დროშა ქართულია, ქართველი ხალხის წიაღიდან წარმოშობილი, მის ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებული. ამავე დროს იგი არს საქვეყნო, საკაცობრიო: ყველა ერთთავის თანამედროვე და მათი სულიერ გრძნობათა და აზრთა ამსაზველი. ამაშია 26 მაისის სიძლიერე, მისი სიმამრე, მისი გამკლეობა, მისი მარადობა. ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიამ დღევანდელ კაცობრიობას დაუწყენა საკითხი, რომელიც ვერცერთმა განვლილმა ეპოქამ ვერ მოაგვარა და ვერ გადასჭრა. საკითხი ერთა ურთიერთობის და ხალხთა მშვიდობიანი და კეთილი ცხოვრების წესთა არჩევის და განმტკიცების. მრავალ საუკუნოების მანძილზე რომ იყო და არის დავის, ბრძოლის და ომების საგნათ.

26 მაისი ამ დიდ ეპოქაში დაიბადა. მრავალი იმპერიები რომ დაინგრნენ და გარდაიქმნენ: ხალხის სრულ უფლებათა აღიარებამ რომ მოშალა მრავალ ერებში ბატონობა უმცირესობის მეოცე საუკუნე ერთა და ხალხთა სუვერენობის საბოლოო გამარჯვების და დამყარების ხანაა. ეს ისტორიული აუცილებლობის სავალი გზა არის, რის შებრუნებას და შეჩერებას ლამობს კრემლის ოლიგარხია. ამ ახალ ქერქში გახვეულ რეაქციას იგივე ბედი მოელის, რაც მრავალთ—ბატონობის და სხვათა ჩაკერის მაძიებელთ დაემართათ. გაუტეხავი იმედით უცდის ამ დღეს ქართველი ერი, რომ გადაიგდოს დამპყრობელთა უღელი და 26 მაისის გამარჯვებული დროშით თავისი ადგილი დაიჭიროს თავისუფალ ერთა შორის.

წ. კრამქ.



«ჩვენთვის 26 მაისი ქართველი ერის ასი წლის ბრძოლის
ლოლიკური დასვენა და ამ ბრძოლის ბრწყინვალე დავეირ-
გვინებაა».

მხ. ხაჩიკაძე.

(«ჩვენი დროშა» № 6).

თ ა ვ დ ა ლ ე ზ უ ლ ნ ი

(26 მაისის ვაქცინა)

მათი რიცხვი ათასეულებია, რომელთა ბრძოლას წინ მიუძღოდა რწმენის დროშა სამშობლოს სიყვარულით გაშლილი. მათი სანუკვარი იყო თავისუფლება ქართული ოჯახის, თავისუფლება საკუთარ სამშობლოში...

იყო დღენი შავი სუდარით მოსილი, არასოდეს სასოწარკვეთილება მათი, არამედ მიმქრალ იმედის კვლავ გაღვივება და გამკლავებულ ენერგიით ბრძოლის აზვირთება.

დროთა მანძილზე გაისმოდა სიტყვა მკრელი, იბრძოდა კალამი მკვეთრი, ხმალი უტენი. სიმართლის ხმას გამოჰყავდა რაზმები მივარდნილ კუთხიდან,—აყენებდა ქვეყნის სამსახურში.

იდეური მისწრაფება იყო მათი მუდმივი თანამგზავრი—ხშირად რომანტიულ გატაცებით შემკული. ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა იყო მათი მოწოდება, შეუწყვეტელი. უანგარო შრომა მათი პირადი სიამოვნება... მათი გული ფეთქდა საერთო საქმისთვის, მათი გონება შებოქილი იყო ბედკრულთა და ტანჯულთა დახსნისთვის. დასახულ მიზანთა მისაღწევად საკუთარ ბედნიერებაზე ფიქრით—მივიწყებულნი, ისინი განიცდიდნენ,—ხალისიან აღტაცებას ბრძოლის ცეცხლში ვართულნი, ტანჯვა-წვალებაშიც პოულობდნენ სულაერ კმაყოფილებას სიმართლის მოსაპოვებლად მოწოდებულნი.

რჩეულთა ზვედრია ისტორიის მწვერვალზე ასვლა. ღოლო გზა აღმავალი ხშირად იწაღდება უამრავ, უჩინართა და უანგართა ბრძოლითა და მსხვერპლით... რადგან ხალხის დინამიურ ძალაშია ერის გამძლეობის გაქვდა და მისი სიმტკიცის შენარჩუნება.

ქაშთა დენიდან—ხალხის გულთა სიღრმეში,—წვეთებთ ეპკურებოდა და დაუშრეტელ წყაროთ გადაიქცა სიყვარული საკუთარ მიწა-წყლის, სურვილი მისი თავისუფალ არსებობის...

ამ დაგუბებულ ჩანჩქერთა დენა მოედო 26 მაისის საქართველოს კუთხიდან-კუთხეს და გაბრწყინებულ მზის სხივებზე გამოჩნდა ერის სხეულის ყველა საღი ნაწილები. დიდებით

შემოსა ნანატრი თავისუფლება, დადგა მის დაცვის სადარა-
ჯოზე... ციური თალი არ გახსნილა და არც შემთხვევით არ
მობრძანებულა თავისუფლება ქვეყნის, არამედ იგი იყო თავ-
დადებულ შრომის, თავგანწირულ ბრძოლების აუცილებელი
შედეგი,—სხვანაირი ახსნა იქნებოდა ნაფიქრი უგუნურთა,
უმეცრება გონებისა, რადგან ქართველ ერში,—დღიდან მის-
გან ეროვნებათ შეცნობისა,—მუდამ ღვივოდა სწრაფვა დამო-
უკიდებელ ცხოვრების შესაქმნელად. ამ მცნებას ეზიარა ფა-
რთე მასსები დიდ ოსტატთა გამპურიახ გონებითა და მოქნილ
ნაშრომით...

სამი წლის მანძილზე სუედა დამოუკიდებელ ცხოვრე-
ბას მშრომელი ერი გაპიერებაში,—ხოლო ეს გაპიერება მას
არ აფრთხობდა, უცხო უღლისგან განთავისუფლებული იგი
მიიღწეოდა აღმშენებლობისკენ... თავდადებულთა გუნდები
კი ეწირებოდა შურითა და მტრობით აღვისილ ყოველ-მხრი-
დან შემოტეულ მტერს...

თუ სამშობლო კვლავ გაეხვია გლოვის ძაძებში, თავდა-
დებულთა რიცხვი გამრავლდა. დაკარგულ თავისუფლების
სხივებით აღინთო მებრძოლთა დაკოდილი გული. 26 მაისის
ტყვეობიდან დახსნა გახდა მათი არსებობის შინაარსი.

შიგნით და გარეთ თავდადებულნი ეცემიან თავისუფ-
ლებისთვის მებრძოლნი, მათ ადგილს იჭერს სხვები...

მსხვერპლთა რიცხვი მრავლდება, შინ და გარეთ ითხრე-
ბა მამულიშვილთა საფლავეები, 26 მაისის 40 წლის თავზე მო-
წიწებით ვიგონებთ მათ ხსოვნას, რომელთაც თავი დასდევს
ერის საკურთხეველზე.

დრო მოვა ტყვეობიდან განთავისუფლებული 26 მაისის
თბილი სხივები კვლავ გაანათებს საქართველოს კუთხეებს,
თავდადებულთა საფლავეებს ჩასქახებს მადლიერი ერი —
აღსიკა საქართველო გაისარუნით!

მანამდის კი—ერის სინდისი ღებულობს მათ ანდერძს—
ბრძოლის გასაგრძელებლათ და მოუწოდებს თავის ახალ-
ახალ შვილებს, იყვნენ ქვეყნის თავისუფლებისთვის თავდა-
დებულნი და ერთგულნი ვითარცა მათი მამები. რომელთა
დატოვებული დროშა მათ უნდა მიიტანონ გამარჯვების ნა-
პირზე!

პ. ხარჯველიძე.

ალ. კობახიას დაბადების 70 წლის თავი.

ამა წლის 29 მარტს ქ. მიუნხენში, ჩვენი პარტიის ერთ-ერთ მუშაკს და ქართული საქმისთვის თავდადებულ მოღვაწეს ალ. კობახიას, —ახლოს მყოფ უცხო მეგობრებმა მოუწყვეს ზეიმი, —მისი დაბადების 70 წლის თავის აღსანიშნავად.

ზეიმს, რომელსაც დაესწრო 60 პირი და მათ შორის იუბილარის ახლობელი ქართველი მეგობრები, —ხელმძღვანელობას უწევდა უკრაინელი პროფესორი სტუდინსკი (უცხო ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე). ზეიმზე წარმოდგენილი იყო ყველა აქ არსებული ეროვნული დაჯგუფებები და ჩვენი მეგობარი გერმანელები და ამერიკელები. სიტყვები წარმოსთქვეს ამერიკულ კომიტეტის რწმუნებულმა, გერმანიის სოც.-დემ. პარტიის სახელით აშხ. რევენტლოვმა, გერმანიის ფედერალურ მთავრობის წარმომადგენელმა და სხ.

ყველა ორატორები აღნიშნავდნენ ქართველი ხალხის რაინდობას და მის დღევანდელ ბრძოლას თავისუფლების მოსაპოვებლად; უსურვებდნენ იუბილარს ხანგრძლივ სიცოცხლეს და თავის დაუღალავ მუშაობის გაგრძელებას.

ქართველებიდან მიულოცა ჩვენი პარტიის და აგრეთვე სოც.-დემ.—ს დავალებით აშხ. ინმანიშვილმა. მანვე გადაუხადა უცხო მეგობრებს—პარტიის სახელით მადლობა.

იუბილარმა მიიღო საჩუქრები როგორც ამერიკელებიდან, ისე გერმანელ მეგობრებიდან.

გერმანიის რადიო-სადგურმა მას მისცა საშუალება—გადაცემულიყო მისი საუბარი ეთერნალისტებთან. აშხ. სანდრომ გააცნო მათ ჩვენი ერის წარსული და მიმდინარე ბრძოლები თავისუფლებისთვის. იუბილეს შესახებ წერილები იყო მოთავსებული სოციალისტურ გაზეთ «ფორვესტ»-ში და «სუდ-დოიტშე ცაიტუნგ»-ში. იუბილარმა მიიღო აგრეთვე საპატიო სიგელი და ოქროს ნიშანი გერმანიის სოც.-დემ. პარტიიდან, რომელსაც ხელს აწერს გერმანიის სოც.-დემ. პარტიის ლიდერი ოლენჰაუერი.

ჩვენი პარტიის სახ. გარეთელ ბიურომ მიულოცა აშხ. ს. კობახიას მისი დაბადების 70 წლის თავი და მას უსურვა დღეგრძელობა და მხნეობა.

ბიუროს პრეზიდიუმმა მხურვალე მადლობა გადაუხადა აგრეთვე გერმანიის სოც.-დემ. პარტიის მიუნხენის სექციას, ჩვენი პარტიისა და მის წარმომადგენლის მიმართ ასეთი ყურადღებისა და თანაგრძნობისთვის.